


[RSS](#)

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / აქცია დარიალის ხეობის გადასარჩენად [VIDEO]

Share 0

0

0

2012.07.17

აქცია დარიალის ხეობის გადასარჩენად [VIDEO]

ანი ბერუკაშვილი

დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მოსახლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და ჰესის მშენებლობის გაპროტესტებას ისახავდა მიზნად ყაზბეგის რაიონში, სოფელ გერგეთში გამართული აქცია.

აქციის ფარგლებში ორგანიზატორებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია “შწვანე ალტერნატივამ” და ადგილობრივმა ორგანიზაცია “სტეფანწმინდამ” გერგეთის სამების ასასვლელთან გასაბერი ჰესი დადგეს.

ჰესიდან გამომავალი წყალი თევზის ჩონჩხებით იყო გაფორმებული, რაც მოსახლეობისთვის იმ საფრთხეების შესახებ ინფორმირებას ისახავდა მიზნად, რაც შესაძლოა ჰესის აშენებას მოყვეს:

“პროექტის ფარგლებში ხდება მდინარე თერგის წყლის დაახლოებით 90%-ის მილში გადაგდება, ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები და კლდე იბურდება, შედეგი იქნება ის, რომ ძალიან შეიძლება დარილის ხეობაში მთლიანად ბუნება, ეკოსისტემა, ეს გაანადგურებს წითელ წიგნში შეტანილ კალმახს თერგში, რადგან ფაქტიურად თერგი აღარ იქნება, ეს იქნება პატარა ნაკადული”, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია “სტეფანწმინდას” წარმომადგენელმა შოთა ბუჩუკურმა. მისი თქმით ადგილობრივ მცხოვრებლებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რეალურად რა შედეგი შეიძლება მოყვეს მშენებლობას, სწორედ ამიტომ ორგანიზატორებმა აქცია გერგეთობის დღესასწაულს და ხალხმრავლობას დაამთხვიეს. აქციის პარალელურად მოგროვდა ხელმოწერებიც.

ჰესის მშენებლობის პროექტს კომპანია “დარიალ ენერჯი” ახორციელებს, რომელმაც “ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა” დაიქირავა. მათ ანგარიშში აღნიშნულია, რომ “ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის”.

ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ ჰესის საპროექტო არეალი ყაზბეგის ეროვნულ პარკს მოიცავდა, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ანგარიშის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვის

სამინისტრომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მშენებლობის ნებართვა გასცა.

“მწვანე ალტერნატივაში” ამ ფაქტებს კანონდარღვევად აფასებს:

“წყალთან დაკავშირებით არანაირი კვლევა არ ჩატარებულა, რამდენი წყალი მოდის მდინარეში ისიც არ არის გაზომილი, ამიტომ აიღეს მაქსიმუმი, ეს დასკვნაც, რომ გარემოზე ზემოქმედება არ მოხდება ჰაერიდან დაიდო თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ გამოინახოს ისეთი საპროექტო გადაწყვეტა, რომლითაც დაცული იქნება ბალანსი ენერგეტიკასა და ეკოლოგიას შორის. ამისათვის ჩვენ ვითხოვთ ჰესის მშენებლობის შეჩერებას და პროექტის გადახედვას”, – აცხადებს “მწვანე ალტერნატივას” წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი.

დარიალის ჰესის მშენებლობა დაახლოებით ერთი წელია რაც დაიწყო და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე 109 კვტ–იანი ჰესის მშენებლობის დასრულება 2014 წლისთვისაა დაგეგმილი.

Share Like 0

0

Tweet 0

ამავე თემაზე:

- [ვის უპირებენ ლაზიკაში გადასახლებას \[Video\] 2012.06.25](#)
- [ჩხავერი მეწყერის წინააღმდეგ 2012.06.12](#)
- [საქართველოს მთავრობის ბირთვული გეგმები 2012.06.05](#)
- [ახალი თბოელექტროსადგურის რისკები საქართველოში 2012.02.16](#)
- [ანტიკრიზისულმა საბჭომ „ტყის კოდექსი“ ვერ განიხილა 2011.11.21](#)
- [ტურისტებს სანადირო იარაღის საქართველოში შემოტანა უმარტივდებათ 2011.10.13](#)
- [სტიქიის შედეგები მთავრობის სხდომაზე განიხილება 2011.06.21](#)

კომენტარი

Like

Add New Comment

[Login](#)



Type your comment here.

Showing 0 comments

Sort by popular now ▾

✉ [Subscribe by email](#) [RSS](#)

სხვა სტატიები ახალი ამბები



2012.07.17

ივანიშვილის ინტერესებს ამერიკელი იურისტები დაიცავენ

ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს საერთაშორისო სასამართლოებში მსოფლიოში ერთ–ერთი წამყვანი, აშშ–ში დაფუძნებული იურიდიული კომპანია დაიცავს. კომპანია Skadden -ის ლონდონისა და ვაშინგტონის ოფისის ხელმძღვანელები თბილისში ჩამოვიდნენ და კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერს პირადად შეხვდნენ....

კომენტარი სრულად



2012.07.17

თიბისი ბანკმა დეპოზიტების თამაშის გამარჯვებული გამოავლინა

თიბისი ბანკმა დეპოზიტების თამაშის გამარჯვებული გამოავლინა და მას საჩუქრად 10.000\$ გადასცა.

კომენტარი სრულად

2012.07.17

დედაენაზე მოდარდე დეპუტატობის კანდიდატი "ქართულ ოცნებაში"

გაზეთ "ზათუმელების" არქივიდან, 2008 წლის 14-21 მაისი 17 ივლისს შოთა ზოიძე ბიძინა ივანიშვილმა შუახევის მაჟორიტარ კანდიდატად დაასახელა. გთავაზობთ ინტერვიუს შოთა ზოიძესთან, რომელიც გაზეთ "ზათუმელებში" 2008 წლის არჩევნების წინ გამოქვეყნდა. იმ დროისათვის შოთა ზოიძე პარტია "ქართული...

კომენტარი სრულად



2012.07.17

ივანიშვილი: მურმანს [დუმბაძეს] ვაჟკაცურად მოუხდია ბოდიში

კოალიცია “ქართული ოცნების” ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა 17 ივლისს, მურმან დუმბაძის ბათუმში მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელების დროს, მის ქსენოფობურ განცხადებებსაც გამოეხმაურა:

კომენტარი სრულად

Recommendations



180 დღე სექსის გარეშე და სექსი კურთხევით
Irakli Absandze and 117 others recommend this.



მღვდლებმა ”ჯვრისწერა” დატოვეს კაცობრიობის პირმშო and 146 others recommend this.



16 წლის გოგონას ქორწილის დამეპოლიციაში
კაცობრიობის პირმშო, Irakli Gaprindashvili, Lasha Zarginava and 1,308 others recommend this.

Facebook social plugin

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)

- [თანამშრომლები](#)
- [მხარდამჭერები](#)
- [რეკლამა საიტზე](#)
- [კონტაქტი](#)
- [ჩვენს შესახებ](#)



ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე

1336394
4831
TOP.GE 1971